# ფოთში გრძელდება ევროპის სპორტის დღესასწაული


ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

17 აგვისტო, შაბათი, 1991 წ.
№ 155 (10 568) ● ფასი 10—10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები თენგიზ გაჩეჩილაძე, თამაზ მიგრიაული და ლევან ჯავახიშვილი ფოთიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

## სტუმრად... საკუთარ სახლში

**მოდაში** აღარ არის ასე წერა, თორემ ამ წუთების მღელვარების გადმოცემა ძველი, „ნაცადი“ ფრაზით — ერთი ნახტომი და მთელი ცხოვრება შეიძლებოდა-მეთქი, სინანულით გავიფიქრე, როცა კატარღა, რომელსაც ხათუნა კორკელია მიჰყვებოდა, ტრამპლინისკენ დაიძრა.

ასეა და, რა ვქნათ — ამ ნახტომისათვის ხათუნა დიდი ხანია ემზადებოდა, მას შემდეგ პირველად რომ მოირგო წყლის თხილამურები, მაგრამ...

„ოქროს ტბის“ — ევროპის ჩემპიონატის „ცისფერი სტადიონის“ თავზე ასპარეზობის დღეებში სპორტული თვითმფრინავებით საჰაერო შოუც ეწყობა. იცოცხლეთ, მშვენიერი სანახაობაა. ხალხიც სუნთქვაშეკრული ადევნებს თვალს ურთულეს ილეთებს, მფრინავთა ამ საჩვენებელი გამოსვლით ყველა ფრიად კმაყოფილია, ჰოდა, მეტი და უარესი რომ არ ვთქვათ, ბედის ირონიაც ის გახლავთ, რომ იმ მფრინავებსა და ხათუნა კორკელიას, ფაქტობრივად, ერთნაირი სტატუსი აქვთ — როგორც არ უნდა იასპარეზოს, კორკელია ისევე ვერ მიიღებს მედალს, როგორც უმაღლესი პილოტაჟის ეს ოსტატები.

მართლაც პარადოქსულ სიტუაციაში აღმოვჩნდით საქართველოს ნაკრების წევრები და მათი გულშემატკივრები. დაახლოებით ასეა საქმე, შენსავე სახლში სტუმრად მიგიპატიჟონ. ერთი სიტყვით, სიხარულსა და წარმატებას ოფიციალურად „არ გვიდასტურებენ“, არადა, ხათუნამ სიხარულიც განგვაცდევინა და წარმატებასაც მიაღწია.

დიახ, კატარღა ტრამპლინისაკენ დაიძრა თუ არა, ათასობით აჟრიამულებული გულშემატკივარი ერთი კაცივით გაყუჩდა. ხათუნა „ვირაჟზე გავიდა“, ტანი „მომართა“. ტრამპლინისაკენ გაექანა და... საეჭვო აღარაფერი იყო, ნახტომი ყველა განზომილებით, „ევროპული მასშტაბისა“ გახლდათ. ლამაზიც იყო, მძლავრიც, შორიც — ისეთი, ფინალში გასვლის გარანტიას რომ იძლეოდა.

მაყურებლებმა ყიჟინა დასცეს და შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ რა მოსატანი იყო ჩვენი შვება იმ გრძნობასთან, ხათუნამ რომ განიცადა. არადა, რომ გენახათ, როგორ ნერვიულობდა ნახტომამდე. სხვა თუ არაფერი, პირველს მოუწია წინასწარ შეჯიბრებაში გამოსვლა. საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვიქტორ მელნიკმა და ფოთის წყალსათხილამურო ბაზის დირექტორმა თამაზ ლაგვილავამ მართლაც ძალიან იყოჩაღეს — შეგირდთან მათი განმარტოება და საუბარი სპორტული ფსიქოლოგიის სანიმუშო პრაქტიკუმი გახლდათ.

სამზერ-საზომმა მოწყობილობამ დაადასტურა ის, რაც ყველასათვის უკვე ცხადი იყო — ხათუნა „ელიტარულ“ ანუ საფინალო მანძილზე გადახტა — 38,5 მეტრი. მისი მეორე ნახტომი ცოტათი უარესი გახლდათ — 37,6 მეტრი, მაგრამ მთავარი უკვე გაკეთებული იყო. ახლა კორკელიას მეტოქეებისათვის უნდა გვედევნებინა თვალი. წინა დღეს გვითხრა, ამ სახეობაში ფავორიტები საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ოლგა გუბარენკო და ავსტრიელი ბრიტა გრაბე არიანო. გრაბე, ევროპის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში, ყველაზე შორს გადახტა — 39,6 მეტრზე, გუბარენკო მას ნახევარი მეტრით ჩამორჩა. ხათუნას შედეგი მესამე იყო. მისი მეტოქეები ფინალში, გრაბესა და გუბარენკოს გარდა, იქნებიან ინგლისელი ფილიპა რობერტსი (38,3), ნატალია ივანოვა (36,6), ავსტრიელი კლაუდია გიზენბაუერი (36,4), ოლგა პავლოვა (35,6), ფრანგი ფრედერიკა სავენი (34), შვეიცარიელი ვალერია ბედონი (34,5).

ფინალში გამოვა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი, რომელმაც, პირველ ყოვლისა... მეუღლე ასახელა. ვიქტორ მელნიკის მეუღლემ ნატალია სოროკინამ ფიგურული სრიალის წინასწარი ეტაპი მეოთხე შედეგით დაასრულა. ამ სახეობაში ევროპაში უძლიერესებად საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ითვლებიან და ნ. ივანოვამ და ო. პავლოვამ აქაც ყველაზე უკეთაც იასპარეზეს. მესამე იყო სავენი, რომელსაც მცირედით ჩამორჩა სოროკინა. ხათუნას ამ სახეობაში, რომ იტყვიან, თავი არ მოუკლავს, მისი „კოზირი“, მოგეხსენებათ, ტრამპლინიდან ხტომაა და აშკარა გახლდათ, მხოლოდ ამ სახეობაზე იყო „დამიზნებული“.

## რატომ შიშნია ხათუნა კორკელიას ბრიტა გრაბესი?

**წყალსათხილამურო** სპორტის ქართველ გულშემატკივართა ყველაზე დიდი იმედი, რა დასამალია, ხათუნა კორკელიაა. მას წარმატების შანსი, ვიცით, რომ ტრამპლინიდან ხტომაში აქვს, ეს კი იმის დასტურია, რომ ჩვენი ვარაუდით იგი სხვა სპორტსმენებს სჯობს. მაგრამ ხათუნას ჩემპიონობას ვერ ვუწინასწარმეტყველებთ (თუმცა შეუძლებელი არაფერია), რადგან მის გვერდით ასპარეზობენ ისეთი ცნობილი წყალმოთხილამურეები, როგორებიც არიან ავსტრიელი ბრიტა გრაბე, საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი ოლგა გუბარენკო, მისი თანაგუნდელები ნატალია ივანოვა და ოლგა პავლოვა, ფრანგი ფრედერიკა სავენი და სხვები. ჩემპიონატის დაწყებამდე ყველა ფიქრობდა, რომ ამ სპორტსმენებთან დავაში, მოუხდებოდა ხათუნა კორკელიას პირველი პრიზისათვის ბრძოლა. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი წყალმოთხილამურე უცხოელებიდან უძლიერესად ბრიტა გრაბეს მიიჩნევს — 1990 წლის ევროპის ჩემპიონს ტრამპლინიდან ხტომაში.

ბრიტა მართლაც შესანიშნავ ფორმაშია. ფინალურ ჯგუფში მოხვედრა არ გაძნელებია — 39,6 მეტრზე გადახტა — საკმაოდ იოლად აისრულა საწადელი. ამ შედეგით ავსტრიელი სპორტსმენი სათავეში ჩაუდგა ლიდერთა ჯგუფს.

მისი გაცნობის სურვილი არ გვასვენებდა და კორკელიას მთავარი კონკურენტი მაშინ მოვიხელთეთ როცა, ცნობისმოყვარეთა წრე გაარღვია და გასახდელისაკენ გაემართა.

● **უკაცრავად, ბრიტა, თქვენ რომელი ქალაქიდან ხართ?**

— გემადინიდან. არის ასეთი ქალაქი ავსტრიაში, სხვათა შორის, იგი ძალიან ჰგავს საქართველოს კლიმატითა და ბუნებრივი პირობებით.

● **ხათუნა კორკელია თქვენ ძირითად ფავორიტად და მეტოქედ გთვლით. თქვენ თუ მიგაჩნიათ იგი რეალურ კონკურენტად?**

— სიმართლე გითხრათ, ხათუნაზე მეტად სხვებისა მეშინია — გუბარენკოსი, სავენის, გიზენბაუერის... ხათუნა ჯერ 19 წლისაა, ამიტომ, ვფიქრობ, გაუჭირდება ჩვენთან ჭიდილი. მე 27 წლისა ვარ და ათი წელია საწყლოსნო თხილამურებზე ვდგავარ. ხათუნას ალბათ, რაღაცით ვჯობივარ, ისე, ხათუნა რომ ნიჭიერი და დიდი მომავლის სპორტსმენია, [illegible] არაა. ეს მან დღესაც დაამტკიცა.

● **როდის გახდით წყალმოთხილამურე?**

— ბავშვობაში მან [illegible] შემაჩვია წყალთხილამურებს. შემდეგ გადავწყვიტე ბოლომდე მეერთგულა მისთვის და ფლორიდაში წყალმოთხილამურეთა კოლეჯში ჩავირიცხე. ჩემს წარმატებებს [illegible] კოლეჯში მიღებულ ცოდნასა გამოცდილებას ვუმადლი.

## ევროპაში წაიღებენ ჩვენს პრიზებსა და სუვენირებს

**წყალმოთხილამურეთა** ევროპის ჩემპიონატზე უპრიზოდ და სამახსოვრო სუვენირის გარეშე არავინ დარჩება. მათთვის პრიზები და სამახსოვრო სუვენირები გამოყვეს: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, ყრუთა საზოგადოებამ, ტრანსპორტის სამინისტრომ, ცეკავშირმა, სპორტსაზოგადოებებმა „დინამომ“ და „მართვემ“, ელექტროენერგეტიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების გაერთიანებამ, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენმა“, თბილისის უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკამ, ფოთის პურკომბინატმა, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმო-სავაჭრო-საგარეო ფირმა „ოქსინომ“, საქართველოს ადგილობრივი კურორტების გაერთიანებამ, საქართველოს დიზაინერთა ფონდმა, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებამ, გაერთიანება „საქრძემ“.

### რამდენი მაყურებელი ესწრება ჩემპიონატს?

**ვასხნის** ზეიმზე დამსწრეთა რიცხვმა, როგორც ამბობენ, ნავარაუდევს (80 ათასი) დიდად გადააჭარბა. მაყურებელთა სიმცირე არც წინასწარ შეჯიბრებებზე იგრძნობა. ფინალურ ასპარეზობებზე — შაბათსა და კვირას კი, ცხადია, განსაკუთრებით მოზღვავდება მაყურებელი.

### მონაწილენი და ჟურნალისტები

**ჩემპიონატზე** ჩამოვიდა ზუსტად 100 უცხოელი სტუმარი. 16 აგვისტოსათვის პრესს-ცენტრში აკრიდიტაცია გაიარა პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს 102 წარმომადგენელმა.

















ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტოები






რეალი

№6 აგვისტო 1991

## პირველად საქართველოს სპორტის ისტორიაში წყლის თხილამურებზე დადგებიან ინვალიდები.

## ეს მოხდება ხვალ!

ფოთი 91

გიორგი კოხრეიძე და გია ცისკარიძე უკვე ფოთში ბრიან...



საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია აწყობს საერთაშორისო ტურნირებს ავტორალსა და საინვალიდო ეტლებით რბოლაში.

**7 სექტემბერს ავტორალში,**

**19 ოქტომბერს საინვალიდო ეტლებით რბოლაში.**

სარბიელი დაეთმობა არა მხოლოდ ინვალიდებს, არამედ ქველმოქმედ პიროვნებებს და ფირმებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ვისაც სურვილი გაუჩნდება დაეხმაროს ადამიანებს, რომელთაც მართლაც სჭირდებათ შემწეობა. გახსოვდეთ, რომ ეს იქნება საუკეთესო რეკლამა თქვენი პროდუქციისა.

იმედი გვაქვს თქვენი გულმოწყალების. თქვენი განზრახვა შეგიძლიათ გვაცნობოთ საქართველოს ინვალიდთა სპორტულ ფედერაციაში.

ტელეფონები: 93-28-92. 96-65-40

!

ავტორალში მონაწილეობის მსურველები რეგისტრაციისათვის უნდა გამოცხადდნენ ტურბაზა „ვაკეში" 5 სექტემბერს, 10 საათიდან.

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია

რუბრიკის ანონსი

# იქნებ...

საყოველთაო გაჭირვება არ სჭირდება იმის დადგენას, რომ ინვალიდებს უამრავი წვრილმანი თუ მსხვილმანი საკითხი აქვთ მოუგვარებელი. ბევრი ინვალიდი მრავალწლიანი უშედეგო ბრძოლის მიუხედავად ფარ-ხმალს არ ჰყრის და კვლავაც ცდილობს მიაღწიოს რაიმე საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტას, ბევრმა კარგა ხანია ხელი ჩაიქნია, რადგან აღარა აქვს იმედი, რომ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას რაიმე ეშველება და თანაც ქვეყანას ახლა ისე უჭირს, რომ საყოველთაო პრობლემებთან შედარებით ინვალიდთა პრობლემაზე ლაპარაკი თითქოს უხერხულიც კია. მათ უნდა შევახსენოთ, რომ ადამიანის არსებაში ყველაზე გვიან კვდება იმედი. არც ჩვენ უნდა დავკარგოთ იმის რწმენა და იმედი, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ზრდასთან ერთად თანდათან გადაწყდება ინვალიდთა ყოფასა თუ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები, ყველაფერი მოგვარდება და ჩვენი ინვალიდებისათვის დღეს საოცნებოდ ქცეული ყოფა ხვალ რეალობა იქნება.

ზოგიერთი საკითხის მოგვარება კი უკვე დღესვეა შესაძლებელი, თუკი ის ადამიანები, ვისაც ხელეწიფება... დახმარება და თანადგომა, გულთან ახლოს მიიტანენ ინვალიდთა გასაჭირს. ამიტომ გადავწყვიტეთ მომავალი ნომრიდან ჩვენს გაზეთში დავაარსოთ ახალი რუბრიკა, რომლის ქვეშ დაიბეჭდება თქვენი სურვილები, შენიშვნები, წინადადებები. ვეცადოთ, იქნებ ვინმემ ყურადღება ინვალიდთა ღაღადისი, იქნებ გამოჩნდეს შემწე და ქომაგი, იქნებ არ ეძნელოთ ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება, იქნებ...

„იქნებ..." სწორედ ასე გვინდა ვუწოდოთ ჩვენს მომავალ რუბრიკას. მოგწონთ? იქნებ თქვენ უკეთესი შემოგვთავაზოთ? ველით თქვენს წერილებს, რომელსაც აღგილს მიუჩენთ ამ რუბრიკის ქვეშ. ნუ დაიზარებთ, მოგვწერეთ. გახსოვდეთ, რომ ეს გაზეთი არსებობს თქვენთვის და თქვენით.

## გმადლობთ ბედნიერების მონიჭებისათვის



„რეალის" მკითხველებმა უკვე იციან, როგორ მოვინდომეთ ჩვენ წყალ-მოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება და როგორ დავიწყეთ ჩვეულებრივი წყლის თხილამურების გადაკეთება ისე, რომ ინვალიდს შესძლებოდა მისი მოხმარება. დიდი ენთუზიაზმით შევუდექით საქმეს, მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ჯერ ერთი, გაგვიჭირდა პატარა ფოტოს მიხედვით თხილამურების პარამეტრების დადგენა და მეორეც, ვერ შევძელით იმ ზომის თხილამურების შოვნა, რომელიც ჩვენ გამოგვადგებოდა. ასე რომ, ხელახლა უნდა „გამოგვეგონა" თხილამური, ანუ ორი თხილამური უნდა შეგვეერთებინა ერთმანეთთან. ჩვენი იდეის განხორციელებისათვის ბევრი ადამიანის შეწუხება მოგვიხდა. ზოგი ასე გვხვდებოდა და ზოგი ისე. ბოლოს აღმოვაჩინეთ ოქროსხელებიანი ოსტატი ნუკრი წერეთელი. ორი დღე, როგორც იტყვიან ხოლმე, მუხლჩაუხრელად იშრომა ნუკრიმ და ორი თხილამური ისე ოსტატურად შეაკავშირა, თვალებს არ ვუჯერებდით. იმ ორი დღის განმავლობაში ძალიან დავუახლოვდით ნუკრის და მის ორ თანაშემწეს. ნუკრი ძველი მორაგბე აღმოჩნდა. ახლაც ეპატიჟებოდნენ თურმე ვეტერან მორაგბეთა ტურნირზე, რომელიც ავსტრალიაში იმართება, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ წავედიო, გვითხრა. ძალიან მიყვარს რაგბის თამაში, გვეუბნებოდა ნუკრი, კვირაში ერთხელ თამაშის საშუალებაც მაქვს, მაგრამ ისეთ სიამოვნებას ველარ მანიჭებს რაგბის თამაში, როგორსაც ამ რამდენიმე წლის წინათ. როცა არ შეგიძლია ჩადო სპორტში ის, რისი გამოხატვის სურვილიც გაქვს, სჯობს, რომ გაეცალოო. მერე ისიც გვითხრა, რაგბის რომ ვითამაშებ, მერე მთელი ღამე სულ რაგბის ბურთი მესიზმრებაო. სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყევით, რომ ასე თუ ისე თქვენც დაგანახოთ ერთი ალალი, ხელმადლიანი კაცი, რომელსაც უშურველად შეუძლია გაიღოს სხვისთვის თავისი სულის ნაწილი. ნუკრი წერეთელმა სრულიად უანგაროდ იშრომა ჩვენი თხილამურების შესაქმნელად და შესაძლებლობა მოგვცა ამ ტურნირში გამოსვლით უდიდესი სიამოვნება განგვეცადა, დაგვევიწყებინა ჩვენი ხეიბრობა და თავი სრულფასოვან ადამიანებად გვეგრძნო. დიდ მადლობას ვუხდით მას ამისათვის. კიდევ ბევრჯერ დაეხარჯოს თავისი ღვთითმომადლებული ნიჭი ადამიანებისათვის ბედნიერების მისანიჭებლად.

**გიორგი კოხრეიძე,**
**გია ცისკარიძე**



ტებას

გი ეთ,

ჩვენო

ბიჭებო!

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის გაზეთი. „ლელოს" დეკადური დამატება

რეალი

# ევრიკა?



გიამგოგთ გიორგი კოხრეიძე, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, I ჯგუფის ინვალიდი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

დაპირებისამებრ გაგაცნობთ შვედი ინვალიდების ორგანიზაციის „R. G“-ს მიერ შემოთავაზებულ რეაბილიტაციის ფორმებს. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ პროგრამაში უმთავრესი ადგილი უკავია ეტლს. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი სრულყოფილი ეტლები, როგორებითაც სარგებლობენ ინვალიდები საზღვარგარეთ, მაგრამ ხომ იცით, კაცი იმედით ცოცხლობსო, არც ჩვენ უნდა დავკარგოთ ასეთი სრულყოფილი ეტლების შეძენის იმედი, მანამდე კი უნდა შევეცადოთ ჩვენი ეტლების სრულყოფას. ახლა ვისაუბრებ იმ ძირითად თვისებებზე, რომლებითაც უნდა ხასიათდებოდეს ეტლი. ეს საშუალებას მისცემს ჩვენს კონსტრუქტორებს მათი გათვალისწინებით შექმნან თანამედროვე ეტლები. გარდა ამისა, თვით ინვალიდებსაც შეუძლიათ გადააკეთონ თავიანთი ეტლები.



ეტლის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებებია: 1. ჩასაჯდომის მოხერხებულობა. 2. გორაობის სიმსუბუქე, 3. დაკეტვის შესაძლებლობა 4. მასა და სიმაგრე.

დავიწყოთ გავრცელებული შეხედულება საინვალიდო ეტლზე. აი, რა მაქვს მხედველობაში. ძველი ეტლები ისეთი იყო, დაღლისა და წვალების მეტს არაფერს მოგიტანდა, რომ ჩაჯდებოდი, აღარ უნდა განძრეულიყავი. ასეთი დამოკიდებულება, გინდოდა თუ არ გინდოდა, მაინც გასუსტებდა, მუდამ სხვისი დახმარების იმედით გამყოფებდა. ასეთ მდგომარეობას ბევრი სავალალო შედეგი აქვს. ერთ-ერთი ყველაზე სავალალო სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებაა.

შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლობის მოპოვება ეტლზე მიჯაჭვული ადამიანის ყველაზე დიდი ოცნებაა. ეს მომენტი გაითვალისწინა კონსტრუქტორმა, რომელმაც შექმნა ის ეტლები, რომლებზეც გვსურს ვისაუბროთ. მან თვითონვე გამოსცადა საკუთარი ნამუშევარი და თავისივე მაგალითით წარმოაჩინა ეტლის უამრავი შესაძლებლობა და მხოლოდ ინვალიდთა თანხმობის შემდეგ დაიწყო ეტლების სერიული გამოშვება.

**როგორი უნდა იყოს ეტლი?**

**ჩასაჯდომისა და საზურგეს მასალა** არ უნდა იყოს სრიალა, რადგან მჯდომარე მუდამ ისრიალებს მასზე და შესაძლოა გადმოვარდეს კიდეც. დასაჯდომი საზურგესთან უნდა ქმნიდეს არა 90⁰, არამედ უფრო მახვილ კუთხეს. ეს იმისთვის, რომ საზურგე, გარდა უკანა მხარისა, გვერდიდანაც იკავებდეს სხეულს. სასურველია რეგულირდებოდეს დასაჯდომი და საზურგე.

**საზურგეს სიმაღლე** არ უნდა ზღუდავდეს ხელების მოძრაობას. დაბალი მისაყუდებელი აადვილებს წელის გამართულად დაჭერას და ხელების თავისუფალ მოძრაობას. სხეულიც საზურგეში ბუნებრივად იქნება მოხრილი. საჭიროა მოსინჯოთ და დაადგინოთ თქვენთვის მოსახერხებელი სიმაღლე, რა თქმა უნდა, იმდენად, რამდენადაც საშუალებას მოგცემთ თქვენი ფიზიკური მდგომარეობა.

**დასაჯდომი** შესაძლოა გადაიხაროს უკან, რაც გვაძლევს დამატებით საყრდენს წელის სუსტი კუნთების შემთხვევაში. ამავე დროს აახლოვებს სამართავ რგოლებს, რის გამოც იზრდება ხელის ერთი გაკვრის ეფექტი. ხელი უფრო დიდ ფართობზე წვდება ბორბალს.

ეტლის მასის შემცირებისათვის, და იმისათვის, რომ მჯდომარეს ხელები ჰქონდეს ბუნებრივ მდგომარეობაში, შეძლებისდაგვარად უნდა შევეცადოთ **იდაყვების დასადების მოცილებას.**

**ფეხების დასალაგებელი** იმ ეტლებისთვის, რომელთაც აქვთ მყარი ჩარჩო, მიზანშეწონილია იყოს მომრგვალებული ტიპის, რაც ხელს უწყობს ეტლის წინა ნაწილის მასის შემცირებას, რაც ესოდენ საჭიროა მანევრირების დროს. გარდა ამისა, მომრგვალებული ფეხების დასალაგებელი ნაკლებად აფუჭებს კარებს, ავეჯს და კედლებს.

**ეტლის ბალიში** უნდა იყოს ისეთი, რომ ბარძაყებს ჰქონდეს საყრდენი მთელს სიგრძეზე.

თუ **უკანა ბორბლები** ისე იქნება განლაგებული, რომ ზედა ნაწილში ვიწრო იქნება და ქვედაში მცირეოდენ გაშლილი, ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ გადაადგილებას.

ეტლი უნდა იყოს რაც შეიძლება ვიწრო და დაბალი, რომ მჯდომარემ შორს არ გაწიოს ხელები. ზამთრის ტანსაცმლისათვის, ბუნებრივია, გვჭირდებათ უფრო დიდი ადგილი, ამ დროს შეიძლება ბორბლები უფრო განზე გასწიოთ სახელურის საშუალებით.

დღეს ამით მოვრჩეთ, შემდგომში თქვენ გაეცნობით მახასიათებლებს, რომლებიც ხელს უწყობენ გადაადგილების სიმსუბუქეს.

!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1983-1992 წლები ინვალიდებზე ზრუნვის ათწლეულად გამოაცხადა. საქართველო ვვიან ჩაერთო ამ მოძრაობაში, მეტიც, ჩვენში გაერო-ს გადაწყვეტილებაზე ადრე სიტყვასაც არ ძრავდნენ. ათწლეულის დამთავრებამდე წელიწადნახევარი დარჩა. მოდით, ჩვენი ინვალიდების სულსა და გულს ერთიანი ძალისხმევით, საერთო ენთუზიაზმით დავამჩნიოთ ზრუნვის კვალი. ათწლეულის მიწურულს სათქმელ-თავმოსაწონი ჩვენც უნდა გვქონდეს.

## უცხოეთის გამოცდილება

დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, უცხოეთის მასალების მიხედვით, გაგაცნოთ იმ ღონისძიების ერთი ნაწილი, რაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბოლო წლებში ტარდებოდა ინვალიდთა საკეთილდღეოდ. ცხადია, გერმანიის გაერთიანების შემდეგ ამ სისტემაში ჩაერთო გდრ-ის ინვალიდთა ორგანიზაციებიც.

**ინვალიდებზე ზრუნვის სისტემა**

დავიწყოთ განათლების სისტემით. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში გამოყოფილია პიროვნება, რომელსაც აქვს ინვალიდების საკითხებზე ზრუნვის საგანგებო უფლებამოსილება.

ქვეყანაში ყველა ახალი უნივერსიტეტი შენდება ნაგებობის შიგნით ინვალიდთა ეტლების თავისუფლად გადაადგილების გათვალისწინებით, იგივე მოთხოვნებს უყენებენ აგრეთვე სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების დამპროექტებლებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ მანქანების მფლობელ ინვალიდებს. ჯერ კიდევ ამ 10 წლის წინათ ძალზე მცირე იყო ავტოსადგომებზე ინვალიდებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა. ახლა ასეთი სადგომების რიცხვი თითქმის ყველგან საკმარისია.

ათი წლის წინათ გფრ-ში არ იყო ინვალიდთათვის განკუთვნილი მატარებლის ვაგონები. ახლა ასეულობით მატარებელში თითო ვაგონია გამოყოფილი. ასეთი ვაგონით ეტლიან ინვალიდებს შეუძლიათ თავისუფლად და მოხერხებულად იმგზავრონ. ინვალიდთა ვაგონების კარები ფართოა, სავარძლები მოძრავი, ტუალეტები ინვალიდთა ეტლზეა მისადაგებული. ბოლო ხანებში დაინერგა კიდევ ერთი სიახლე — სადგურებში მოეწყო საგანგებო ბაქნები.

ინვალიდებზე ზრუნვით გფრ-ს ევროპაში წამყვანი ადგილი ეკავა, რაც ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგაც კვლავ სამაგალითო რჩება.

1981 წლიდან გფრ-ში ხელი მოჰკიდეს ინვალიდთა ავტოსერვისის გაუმჯობესებას და 1986 წლისათვის ქვეყანაში 350-მდე ბენზინის გასამართ სადგურს, საგზაო რესტორნებსა და ავტოტურისტთა ბაზებს გაუკეთდა საგანგებო მისასვლელები, ინვალიდთათვის განკუთვნილი მოხერხებული ტუალეტებით.

ზემოთ ვთქვით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობენ ინვალიდებზე ზრუნვის საგანგებო უფლებამოსილების პირები. ასეთივე შტატი არის აგრეთვე მთავრობაშიც და ადგილებზეც. ინვალიდთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხები ყველგან წყდება ამ მუშაკების უშუალო ხელმძღვანელობით, მათი ერთადერთი ამოცანაა ინვალიდებზე ზრუნვა, ეს ზრუნვა კი სრულყოფილი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სისტემითაა გარანტირებული.

### თუ სხვაგან შეძლეს, ჩვენც შევძლებთ...

ორ წელიწადზე მეტია, რაც დონეცკში გაიხსნა და კეთილ საქმეს ემსახურება საქალაქო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბი ინვალიდებისათვის. კლუბი სამეურნეო ანგარიშზეა. თავდაპირველად მას 5 ათასი მანეთი გადაურიცხა სპორტკომიტეტმა, რომელიც კლუბის დამფუძნებელია. მერე გამოჩნდნენ შეფები და სპონსორები, ისინი კლუბს დიდად ეხმარებიან მატერიალურად.

**იქნებ თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გაიხსნას ასეთი კლუბები, იქნებ ჩვენც შევძლოთ ის, რაც სხვამ შესძლო.**



# მხატვარი, რომელსაც არ დაუხატავს



ის მხატვარია, ოღონდ სურათი არ დაუხატავს... როგორო-იკითხავთ.

ისე, უბრალოდ... მას არ შეუძლია დაიჭიროს ფუნჯი არც ხელით, არც კბილებით, როგორც ამას სხვები ახერხებენ.

თამრიკო მაინც ხატავს... ის მხატვარია... მე ამაში დავრწმუნდი, როცა მისი ერთ-ერთი რვეული გადავფურცლე. „ოჰ, ეს არ ნახოთ“ — მთხოვა თამრიკომ. რატომ-მეთქი. „ეს მხოლოდ ჩემთვისაა, რაღაც ესკიზებია ჩაწერილი...“ მე მაინც გადავავლე თვალი რამდენიმე ჩანაწერს. ძალიან მინდოდა ერთი ესკიზი მაინც გამეცნო ფართო მკითხველისათვის, მაგრამ თამრიკო ვერ დავითანხმე, მას მიაჩნია, რომ სურათი ნახატით უნდა აღიქვა და არა სიტყვებით, რომ ნახატს კომენტარი არ სჭირდება, არც სათაური. მნახველმა თავისი უნდა ნახოს და წაიღოს. თამრიკო ცხოვრებასაც ისე უყურებს, როგორც დიდ ტილოს...

**ზოგან მამაც არწივს სცემენ თაყვანს,**
**ზოგან წეროს ადევს მეტი ფასი,**
**გააჩნია სად რის ნიშნად თვლიან,**
**სად გატეხეს უზღაპრობის ნავსი.**
**ალმერთებენ ზოგან მგოსან ბულბულს,**
**ზოგან მერცხალს, ორბს, მიმინოს, ძერას,**
**და აფასებს ყველა თავის ხედვას,**
**დაფერილა რუკა ათასფერად.**

ხედავს თამრიკო საოცარ ფერებს, ხაზებს, ესმის საოცარი მუსიკა:

**საყვარელი მუსიკის,**
**ტკბილი ჰანგის წყალობით,**
**გულზე შემოხვეული**
**დარდო ბევრჯერ დამიდნი,**
**მარად ჩემი ოცნება,**
**ორი ხატი მუსიკის,**
**ზღაპარი და ცხოვრება,**
**მოცარტი და ჰაიდნი.**

და ფიქრობს, ფიქრობს ბევრს... როცა ხელებში ძალა მოუვა, მაშინვე იღებს კალამს და ფიქრი სწრაფად გადააქვს ქაღალდზე, რომ მოასწროს...

**არ მეძინა, თავი მოვიმძინარე,**
**მშობლებისას მოვუსმინე მსჯელობას,**
**საუბრობდნენ რაღაც სნეულებაზე**
**და განკურნვის თითქმის აღარ სჯეროდათ.**
**საუბრობდნენ მშობლიური სითბოთი,**
**ვუსმენდი და უცებ შევკრთი ძალიან,**
**იქნებ მე მჭირს რაღაც უკურნებელი,**
**მათი შფოთვა იქნებ ჩემი ბრალია?**

* * *

**– არ შექმნილა ისტორია მისით,**
**ბედი ვერც ჩვენ შეგვაშინებს ნისლით,**
**ზოგჯერ სწორედ დამარცხება ხდება**
**დიდი გამარჯვების დასაწყისი.**

... და შემდეგ, როცა ისევ მოეძალება ფიქრები, როცა ისევ მოდის ფერები და ხაზები, როცა ისევ უნდა, რომ დახატოს და ვერ ხატავს, იწყება ბრძოლა, ყველაზე საამო ჭიდილი...

**კარგია თუ ყველაფერს ვერ დახატავ,**
**ყველა როლის თუ ვერ შესძელ თამაში,**
**თუ ყველა წიგნს, ჟანრის მიუხედავად,**
**ერთნაირი სიამით ვერ გადაშლი.**
**ყოველგვარ კერძს თუ მშიერიც ვერ შეჭამ,**
**თუ ყოველთვის ვერ იმღერებ დაკვეთით,**
**განურჩევლად ერთნაირად ბრწყინვალედ**
**ვერ ისწავლი თუკი ყველა გაკვეთილს.**
**კარგია თუ შედეგს არ დაეხარბე,**
**თუ გულისთქმა ვერაფრით ვერ იძლია,**
**ხელოვანი დიდი სწორედ მაშინ ხარ,**
**როცა რაღაც მართლა არ შეგიძლია.**

... და ეხლა, როცა ეს სტრიქონები გადავწერე თამრიკოს მეორე რვეულიდან, რომელიც ქალბატონმა ეთერიმ მომაწოდა, გამახსენდა, რომ თამრიკომ შეშფოთებული მზერა გამოაყოლა და თქვა: დედა, ნუ შეაწუხებ სტუმარს. მაშინ შევცბუნდი, იქნებ მე გადავღალე-მეთქი, თითქოს თამრიკო მიმიხვდა... და... მთელი სამი საათი გაგრძელდა ჩემი სტუმრობა ამ თბილ, გულღია ოჯახში, პოეტ შოთა ხოდაშნელის პაწია ბინაში, სადაც თამრიკოს ყველაზე გამორჩეული ადგილი უკავია, სადაც თამრიკო განსაკუთრებით უყვართ, სადაც იციან ღიმილის ფასი, უყვართ ლიტერატურა, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იციან, იციან უამრავი შაირი, ანეკდოტი, ქარაგმა... თუნდაც ისეთი, ჟურნალისტებს რომ მიუძღვნა თამრიკომ.

**„თუს“, „თურმეს“, „ალბათს“, „იქნებას“**
**დიდი ვალი სძევთ ზედაო,**
**მათ იტყვი, პასუხს არ აგებ,**
**ვერც ვინმე გედავებაო,**
**ამ დალოცვილებს არსაით**
**შარი არ მოედებაო,**
**გახლავთ ნაკურთხი სიტყვები,**
**წონასწორობის დედაო.**

ეს სიტყვები სიხარულით მივიღე, რა თქმა უნდა, შემდეგ ბატონმა შოთამ განაგრძო „ღიმილის საათი“. „არ გეწყინოთ, მეც ასე გადამკრავს ხოლმე, მე — ყველაზე დიდ პოეტს... წონაში...“ ბატონმა შოთამ აკაკის ხუმრობანიც გაიხსენა, თან შემპირდა, გაზეთისთვის თავშესაქცევი ამბების მომზადებაში შეგეშველებიო. შევთანხმდით კიდეც.

თანამშრომლობის წინადადება თამრიკოსაც შევთავაზე, მან ძალიან გაიკვირვა, ეს წარმოუდგენელიაო... მაგრამ შესაძლებელი-მეთქი. ამაში მკითხველი სულ ცოტა ხანში დარწმუნდება. მანამდე კი მინდა თამრიკოს მოფიქრებული გამოცანა შემოგთავაზოთ:

თქვენს წინაშეა ოთხად გაკეცილი ვარდისფერი ნაჭერი, გაშლით და ნახავთ ნახაზს: ფონი ვარდისფერია, ხაზები — მწვანე. ეს მან შეადგინა ცნობილი ქართველი პოეტის ერთი ლექსის შთაგონებით... რომელი ლექსის?



ავტორი იმედოვნებს, რომ ჩანაფიქრი იპოვის ადრესატს და ეს მას ძალიან გაახარებს.

(თამრიკოს მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, IV კვარტალი, IV კორპუსი, III სადარბაზო, 31-ე ბინა) თუ ვინმე ეწვევით მას, ძალიან გაახალისებთ, მას უყვარს სტუმარი... სამჯერ წამოვდექი წამოსასვლელად, სამჯერვე მთხოვა, ცოტა ხანს კიდევ დარჩიო...

...ბოლოს თვალი ისევ იმ რვეულისკენ გამექცა, რომელშიც თამრიკოს ნახატებია აღწერილი, მართლა მოგეწონათო, სევდანარევი ღიმილით შემეკითხა... თვალები საცრისხელა გაუხდა, გაულურჯდა და კიდევ უფრო მეტყველი გაუხდა. მიმზერდა მხატვარი... მხატვარი, რომელსაც სურათი არ დაუხატავს.

ნაზი აროშიძე



# პროფესორი ჰოკინგი: მე ყველაფერი შევძელი

უკვე 60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აინშტაინმა ძირეულად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა კოსმოსზე. მეცნიერები ცდილობენ შექმნან გრანდიოზული, ყოვლისმომცველი თეორია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ბუნებაში არსებული ურთიერთკავშირების მიგნება, გაერთიანება, ახსნა და, აქედან გამომდინარე, თვით ბუნების საიდუმლოებათა შეცნობა. და აი გამოჩნდა მეცნიერი, რომელიც მიისწრაფვის ამ მიზნისაკენ და ვინ იცის, იქნებ კიდეც უახლოვდება მას. ეს გახლავთ პროფესორი სტივენ ჰოკინგი, რომელიც უმძიმესი ავადმყოფია, სრული ხეიბარი. სწორედ მას ესაუბრა ბრაიენ ეპლიარდი — ჟურნალ „ანგლიას“ კორესპონდენტი.

დერეფანში გაისმა ყრუ დარტყმებისა და გუგუნის ხმა, რაც იმას მოასწავებდა, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და თეორიული ფიზიკის განყოფილებაში მუშაობას შეუდგა პროფესორი სტივენ ჰოკინგი.

ოთახში მედდა შემოვიდა. მას თან მოჰყვა ინვალიდის ელექტრული თვითმავალი სავარძელი, რომელსაც სახელურის ქვეშ კომპიუტერის ეკრანი ჰქონდა მიმაგრებული, ხოლო უკან — რკინის დიდი ყუთი.

ცხვრის ტყავგადაკრულ სავარძელში იყო რაღაც, ერთი შეხედვით დაუდევრად დაყრილ ტანსაცმლის გროვას რომ მოგაგონებდათ. უცნაური ის გახლდათ, რომ ამ გროვას ადამიანის ფორმა ჰქონდა.

მარცხენა ხელი სავარძელს მართავს ღილაკით, ხოლო მარჯვენა სწრაფად მოძრაობს კომპიუტერის კლავიატურაზე. უეცრად გაისმის ხმა ყოველგვარი მოდულაციის გარეშე. ხმას უცნაური სკანდინავიურ-ამერიკული აქცენტი აქვს:

„გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით?“

ხმა რეპროდუქტორებიდან ისმის, რეპროდუქტორები კი რკინის ყუთშია მოთავსებული. ჰოკინგი ეკრანზე წერს სიტყვებს, რის შემდეგაც კომპიუტერს უბრუნებს ალსადგენად. ეს პროცესი მდორედ მიმდინარეობს — წუთში დაახლოებით ათ სიტყვას მოიცავს. მაგრამ კონტაქტი დაჩქარდება, თუ სიტყვებს პირდაპირ ეკრანიდან წაიკითხავთ.

ასეთია ადამიანი, რომელმაც შეიძლება სულ მალე ახსნა მოუძებნოს სამყაროს წარმოშობის ამბავს. მისი პროგნოზით, არსებობს 50 პროცენტი შანსი, რომ საუკუნის დასასრულს კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს მიიღებს პასუხს ამ კითხვაზე — ველის საერთო თეორია.

უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამ პროგნოზში სიტყვა „კაცობრიობას“ „ჰოკინგით“ შევცვლიდით. თუ, რა თქმა უნდა, ამ დროისათვის ცოცხალი იქნება ეს თითქმის უსიცოცხლო სხეული, რომელშიც ჩვენი საუკუნის ორი-სამი დიდი ფიზიკოსის ინტელექტუალური შესაძლებლობები მაინც არის თავმოყრილი.

ოცდახუთი წელია მას ნელი სიკვდილით კლავს მოქმედი ნეირონების ავადმყოფობა.

ოცდაერთი წლის იყო, სიარულის დროს ბორძიკი რომ დაიწყო, ოცდაათისა უკვე ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვა. ოთხი წლის წინ მას ტრაქეა ამოჰკვეთეს და ხმაც დაკარგა. სტივენ ჰოკინგი სუნთქავს ხვრელით, რომელიც ყელში აქვს; ნერწყვის გამოყოფაც უნებურად ხდება და ოდნავი დახველებაც კი სხეულის კონვულსიას იწვევს.

მას შერჩა მხოლოდ ხელ-ფეხის მოძრაობის რუდიმენტული ნიჰი და სულისშემძვრელი ღიმილი.

ჰოკინგს საყოველთაო აღიარება მოუტანა 1988 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „დროის ხანმოკლე ისტორია“, რომელიც გამოსვლისთანავე დაიტაცეს. ეს სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, ავტორის აზრით, კარგ მეგზურობას გაუწევს ყველა რანგის მკითხველს და არავითარ სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს. რატომ დაიწერა იგი? „მე ძალიან მომწონს, როცა ჩემს საქმიანობაზე ვუყვები სხვებს“.

— შეიძლება თქვენს სიტყვას ენდოს ადამიანი, რომელიც არ არის გათვითცნობიერებული მათემატიკაში?

„ეს რთული პრობლემაა. მე კიდევ ერთი ნაშრომი დავწერე, წმინდა მათემატიკური ხასიათისაა. აი, იმას ნამდვილად ვერ წაიკითხავს ყველა“.

— უეცრად ჰოკინგი საუბარს წყვეტს, გვეუბნება, ლექციაზე მაგვიანდებაო და გვტოვებს. მართალია, პროფესორი ძირითადად თეორიულ გამოკვლევაზე მუშაობს, მაგრამ დროდადრო ლექციებსაც კითხულობს. მას სამასამდე მსმენელი ჰყავს სტუდენტების, ასპირანტებისა და გარეშე პირთა სახით.

ლექცია სხვა კორპუსში გადაუტანიათ და აი, ორი მეცნიერი თანამშრომლის, მედდისა და ერთი ჟურნალისტის თანხლებით ჰოკინგს თავისი თვითმავალი სავარძელი ქუჩისკენ მიჰყავს სრული სვლით. მისთვის უცხოა შიშის გრძნობა. ამიტომ საკმაოდ სწრაფად და თამამად მოძრაობს ქუჩაში, დარწმუნებულია, რომ ყველა დაუთმობს გზას. მისი თანამშრომლები კი ნერვიულად გარბიან წინ მოძრაობის შესაჩერებლად, ეშინიათ, საფრთხეში არ ჩააგდონ გენიალური ადამიანის სიცოცხლე.

მეთოდი ლექციის ჩატარებისა ერთობ უნიკალურია. ჰოკინგი კომპიუტერის მეხსიერებაში აგროვებს მთელ სათქმელს. ამის შემდეგ იგი თანმიმდევრულად ასმენინებს წინადადებებს აუდიტორიას ზომიერი ტემპით, რაშიც მართვის პულტი ეხმარება. მისი ერთ-ერთი ასისტენტი ლექციას დიაპოზიტივით ამდიდრებს.

ლექცია ყველასათვის გასაგებია. იგი თანამედროვე ფიზიკას აცნობს უნივერსიტეტის სტუდენტებს; „ჩვენ მათ ვუხსნით, თუ როგორია ჩვენს წარმოდგენაში სამყარო“, — განმარტავს პროფესორი.

სტუდენტები გულიანად იცინიან ჰოკინგის ოხუნჯობებზე და ბოლოს ლექცია მხურვალე აპლოდისმენტებით მთავრდება. ჰოკინგი მართლაცდა ვარსკვლავია.

თუკი ლექციებს გამოვრიცხავთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოს დიდ ნაწილს პროფესორი ჰოკინგი საკუთარ გონებაში ახორციელებს. არავითარი ცხოვრებისეული, ყოფითი პრობლემა მას არ აფერხებს და არ აწუხებს.

რაღა ვუყოთ ნების თავისუფლებას?

„ფიზიკის კანონებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველგვარი მოვლენების წინასწარმეტყველება შეგვიძლია, მაგრამ გამოთვლების ჩატარება ძალზე გაგვიჭირდება. ამიტომაცაა, ჭეშმარიტებასთან მხოლოდ მიახლოებით რომ ვკმაყოფილდებით. ისე კი ადამიანის ნების თავისუფლების იდეა საკმაოდ საინტერესო და მისაღები თეორიაა“.

პასუხი თითქოს ნათელია, მაგრამ მაინც შიში გვიპყრობს. იბადება კითხვა: შევძლებთ თუ არა უახლოეს მომავალში სრული, ყოვლისმომცველი თეორიის შემუშავებას?

„დიახ. 50 შანსია 100-დან, რომ ამას საუკუნის დასასრულს შევძლებთ“.

შეიცვლება თუ არა ადამიანი, როცა ყოველგვარ მოვლენას მათემატიკურად ახსნის?

„არა“.

გამოდის, რომ ფიზიკას არავითარი ეთიკური ღირებულება არ გააჩნია?

„როგორ არ გააჩნია, მაგრამ ადამიანის ბუნების შეცვლა ურთულესი და ხანგრძლივი პროცესია. 2000 წელია, რაც ქრისტიანობა ამ მიზანს ემსახურება“.

ხომ არ ემსგავსება ფიზიკა ქრისტიანობას გარკვეული თვალსაზრისით?

„ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში არავითარ მსგავსებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ფიზიკა არაფერს გვასწავლის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ მოყვასს“.

განა ამპარტავნება არ არის იმის ფიქრი, რომ შენ, ადამიანს, ყველაფერი ძალგიძს ამ ქვეყანაზე?

„ამპარტავნებაა, გეთანხმებით“.

ვინ მოთვლის, რამდენ მეცნიერს განუცხადებია, მიზანს მივაღწიეთო და შემდეგ ეს მცდარი აღმოჩენილა. ჩვენ ვითომ მათზე უკეთესნი ვართ?

„უბრალოდ, მეტი ცოდნა გაგვაჩნია. ისეთი კანონები ვიცით, სამყაროს მართვაში რომ გვეხმარება“.

ხომ არ ამოწურავს მეცნიერება თავის თავს ოდესმე?

„ჩემი აზრით, ეს უფრო მოსალოდნელია მეცნიერების სხვა დარგებში, როგორიცაა, მაგალითად, ქიმია ან მოლეკულური ბიოლოგია, რადგან ისინი ფიზიკაზეა დაფუძნებული. ჩვენ იმდენად მაინც ვიცით ფიზიკა, რომ ამ დარგების მომავალი განვსაზღვროთ“.

იმოქმედა თუ არა ავადმყოფობამ პროფესიის არჩევაზე?

„ეჭვი მეპარება. არა მგონია. როცა ჩემს საქმიანობას მივყავი ხელი, ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი ავადმყოფობის შესახებ“.

გაქვს თუ არა დეპრესიული მდგომარეობა?

„როგორც წესი, არა. მე ხომ ყველაფერი შევძელი ავადმყოფობის მიუხედავად. ამიტომაც — ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მიზნისთვის მიმეღწიოს“.

როგორ ვითარდება ავადმყოფობა?

„ერთობ ნელა. უკვე ოცდახუთი წელიწადია სიკვდილს ველი“.

ხომ არ გეშინია, რომ საკუთარი თეორიის შექმნას ვერ მოასწრებ?

„არ მიყვარს მომავალზე ფიქრი. ბოლოს და ბოლოს სხვები გააგრძელებენ ჩემს დაწყებულ საქმეს“.

სტივენ ჰოკინგის მეუღლე ჯეინი პროფესიით პედაგოგია. მათ სამი შვილი ჰყავთ. ჯეინი, შეძლებისდაგვარად, ნორმალურად წარმართავს ოჯახურ ცხოვრებას, განსაკუთრებით ქმრის ავადმყოფობის შემდეგ; ოღონდ ეჭვის თვალით უყურებს იმას, რომ მისი მეუღლე სადაცაა გასაღებს უპოვის სამყაროს, ახსნის მას.

„მის თეორიას, ჩემი აზრით, ერთი დიდი ნაკლი აქვს, — აღნიშნავს ჯეინი, — ვერაფრით დავეთანხმები, თითქოს ყველაფრის მომწყვდევა მათემატიკურ ფორმულაში შეიძლებოდეს და მაინცდამაინც ეს იყოს ჭეშმარიტება. როგორც ჩანს, ფიზიკოსებს აღარ რჩებათ გონებაში ადგილი შთაგონების სხვა წყაროებისათვის. სტივენის აზროვნება, სამწუხაროდ, არ სცდება ზუსტ მეცნიერებათა საზღვრებს. იგი პოსტულატად მიიჩნევს თეორიას, რომლის მიხედვითაც სამყარო დედამიწას გვაგონებს თავისი საწყისისა და სასრულის გარეშე, რაც მთავარია და სამწუხარო, ერთი წამითაც ვერ უშვებს ღმერთის არსებობის შესაძლებლობას“.

ჯეინს ყველაზე მეტად აწუხებს ჰოკინგის გავლენა სხვებზე. იგი იგონებს ერთ „გულუბრყვილო ამერიკელ მეცნიერ-ევანგელისტს“, რომელიც დღე-მუდამ იმის ცდაში იყო, როგორმე რელიგიურ საკითხებზე ესაუბრა ჰოკინგთან, მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

ჯეინი 1965 წელს ცოლად გაჰყვა კაცს, რომელსაც შეიძლება ერთი წლის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი. ეს კაცი შემდეგ საქვეყნოდ აღიარებული პიროვნება გახდა და ახლა ჯეინი მხოლოდ ავადმყოფის მოვლაში კი არ ხედავს თავის ფუნქციას, არამედ ცდილობს შეაგნებინოს ქმარს, რომ „იგი ადამიანია და არა ღმერთი“.

ყოველი ჩვენგანის ფანტაზია უდავოდ უსაზღვრო იქნებოდა, მიწიერ, მოკვდავ სხეულში რომ არ იყოს გამომწყვდეული. პოეტ უილიამ იეიტს უთქვამს, რომ მისი გული „ველარ იტევს სურვილებს და ამ დროს ხორცსაა გამობმული“.

თუ ამ კუთხით შევხედავთ საკითხს, ჰოკინგი ჩვენთან შედარებით გაცილებით ადამიანურია. მისი სხეული წარმოუდგენლადაა განადგურებული და, ამისდა მიუხედავად, მისი გონება ლაღად მიმოჰქრის ვარსკვლავთა შორის.

ჰოკინგის ცოლი მართალია: მომავალ საუკუნეებს უამრავი ჰოკინგი ეყოლება და ყოველი მათგანი, ალბათ, საკუთარი ხერხებით ეცდება ჭეშმარიტების დადგენას. მაგრამ ფაქტი ერთია: ის, რომ ჩვენი საუკუნე გულგამგმირავი დრამის მოწმე გახდა — ეს არის უსუსური ტანსაცმლის გროვა, უმშვენიერესი ღიმილი და მუდმივი სწრაფვა მიზნისაკენ, ვიდრე სიცოცხლის ძაფი გაწყდებოდეს.



პროფესორი ჰოკინგი კემბრიჯის უნივერსიტეტში



ჰოკინგის ოჯახი

პუბლიკაცია მოამზადა რუსუდან შუღლაძემ.

# ყურადღება!

## ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და კერძო პირებს თქვენი პროდუქციის რეკლამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ გაზეთი

# „რვალი“

გეძლევათ იმის შანსიც, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან დაბადების დღე ან სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა მიულოცოთ თქვენს ინვალიდ მეგობრებს.

შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ რეკლამის სხვა სახეობანიც.

## რეკლამით შემოსული თანხა მოხმარდება ინვალიდთა კეთილდღეობას.

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, მაჩაბლის 11, ტელ. 93.28.92, 96.65.40.




## გთხოვთ, შემამციროთ საკუთარი სურვილით...

კვლევით ინსტიტუტში არასახარბიელო ვაკანსიაზე ერთი თვის საგამოცდო ვადით მიმიღეს ახალგაზრდა სპეციალისტი. სამსახურს ენერგიულად შევუდექი, დროზე ვცხადდებოდი და საერთოდ, ვცდილობდი დირექტორის ნდობა გამემართლებინა.

სამუშაო საათების გასვლის შემდეგ შეფის კაბინეტში დიდი საჭადრაკო ბატალიები იმართებოდა. დირექტორს ძალიან უყვარდა ჭადრაკი. მართალია, სუსტად თამაშობდა, მაგრამ წაგებას ვერ იტანდა და თანამშრომლებიც აგებდნენ იერარქიული კიბის მიხედვით — 3:2, 3:1 და 3:0 (თამაში სამამდე იყო).

მაყურებელთაგან ერთი-ორი დუმდა ხოლმე, უმეტესობა კი დირექტორს ეხმარებოდა, თანაც მას შეეძლო სვლა უკან დაებრუნებინა, მოწინაალმდეგეს — არავითარ შემთხვევაში!

ისიც იგებდა და იგებდა, გაფხორილი დადიოდა და ზემოდან გვიყურებდა, რამდენჯერმე მეც მომიწია თამაშმა და სამივე პარტიის წაგება მოვახერხე · რანგის შესაბამისად.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ... უნდა გითხრათ, რომ ბავშვობიდან დიდი ჯანმრთელობით არ გამოვირჩევი და, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მომსვლია დირექტორისათვის „ბორჯომი“ მეზიდა, ბინის რემონტში მივხმარებოდი მის მუშებს ან მის მეუღლეს გავყოლოდი ბაზარში მძიმე ჩანთების სათრევად, რასაც ჩვენი თანამშრომლები წარმატებით აკეთებდნენ. მორალურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ხომ გითხარით, ჯანმრთელობა არ მიწყობდა ხელს, ჰოდა, როცა საშინელმა სიტყვა „შემცირებამ“ ჩვენს „ოფისშიც“ შემოაღწია, ყველამ საწყალობლად დამიწყო ყურება და მივხვდი, რომ „საბაზრო ეკონომიკისათვის“ გამიმეტეს.

— ახალგაზრდა ხარ, ახლებურად აზროვნებ, სხვა გზა უნდა ნახო, — მითხრა დირექტორმა და რომ შემატყო ფერი დავკარგე, — სანამ მდივანი ბრძანებას დაბეჭდავს, ჭადრაკი ვითამაშოთო — შემომთავაზა დასამშვიდებლად.

დავთანხმდი.

დავსხედით.

სამი პარტია მოვუგე ზედიზედ.

გააბოლა (საერთოდ არ ეწეოდა).

მდივანმა ბრძანება შემოიტანა.

— ნადია, ეგ შენ გქონდეს, რიცხვსა და ბეჭედს ხვალ დავუსვამო. მერე მე მომიბრუნდა. დღეს დაღლილი ვარ, სხდომაზე ვიყავი, ხვალ გავაგრძელოთო.

იგივე გაიმეორა მეორე დღესაც, მესამე დღესაც, ის ბეჭედდაუსმელი ბრძანება დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩემს თავს ზემოთ. ჩემი წაგება და ბრძანება ძალაში შევა. შეფს არ უნდა დამარცხებულმა გამათავისუფლოს, თანამშრომლებში ავტორიტეტს დაკარგავს, ჰოდა, ვუგებ ყოველდღე. ის სერიოზულად შეუდგა ჭადრაკის შესწავლას, „64“ გამოიწერა. მე უფრო სერიოზულად ვკითხულობ გამოჩენილ მოჭადრაკეთა მოგონებებს, ვარჩევ მათს პარტიებს, ვიყიდე ჯიბის ჭადრაკი და ტრანსპორტის მოლოდინში აღარ ვნერვიულობ, მივდგები გვერდზე და ამოცანებს ვხსნი. მგზავრობისასაც ჭადრაკზე ვფიქრობ (სამჯერ დამაჯარიმეს უბილეთო მგზავრობისათვის). ღვინოს ადრეც ვერ ვიტანდი, ახლა აღარც სიგარეტს ვეწევი, დილაობით ვვარჯიშობ, ცივ შხაპს ვიღებ, დავკარგე ნათესავ-მეგობრები, შეყვარებული და მთელი დრო ჭადრაკს დავუთმე.

შეფი თუ სამუშაო საათებშიც ჭადრაკს ჩაჰკირკიტებს (თანამშრომლები უკვე მართლა ველარ უგებენ), მე ამ დროს დაძაბული ვმუშაობ, მერე სამი პარტიის მოგების შემდეგ სახლში გავრბივარ თეორიაში სამეცადინოდ, გვიანობამდე არ მძინავს — სამსახურში დაკარგულ დროს ვინაზღაურებ, დილით ამოკონსპექტებულ პარტიებს ვიმეორებ.

დრო კი გადის. მალე შემოდგომა მოვა, ასეთ დატვირთვას და ნერვიულ დაძაბულობას, გული მითქვამს, დიდხანს ვერ გავუძლებ, ვფიქრობ, საკუთარი სურვილით გავთავისუფლდე სამსახურიდან და ვინაიდან ჭადრაკში ასეთმა ტიტანურმა მეცადინეობამ ფუჭად არ ჩაიარა და ჭადრაკის საიდუმლოს საფუძვლიანად დავეუფლე, საქართველოს პირველობაში მივიღო მონაწილეობა. ჯანდაბამდე გზა ჰქონია დირექტორს. ამბობენ, პროფესიონალ მოჭადრაკეებს ახლა კარგ ფულს აძლევენო.

**მიხეილ მჭედლიძე**

### მოდა

## როგორ ჩავიცვათ?



საინვალიდო ეტლში თავს მოხერხებულად იგრძნობთ, თუ მორგებული ტანსაცმელი გეცმევათ. მაინც როგორი?

აი, რას გვთავაზობენ უცხოელი მოდელიორები.

დააკვირდით სურათს:



შარვლის წინა კალთები გაცილებით ვიწროა (რომ არ აიფუყოს). წინა კალთების დავიწროების ხარჯზე იზრდება და უფრო სრული ხდება უკანა კალთები, წინა კალთის სიგრძეც გაცილებით ნაკლებია უკანა კალთასთან შედარებით.

სასურველია, ჯიბე დაეკეროს მუხლს ქვემოთ. დააკვირდით კიდევ ერთ დეტალს. გვერდითი ხაზები მკვეთრად მრგვალდება თეძოს სახსრიდან წელამდე.

გვერწმუნეთ, ამ მოდელით შეკერილი შარვალი ზუსტად მოერგება მჯდომარე ადამიანს.

უეჭველია, ასეთი შარვალი ეცვა დევიდ კორნელსონს, როცა მან საინვალიდო ეტლით სარეკორდო მანძილი დაფარა კალიფორნიიდან ნიუ-იორკამდე.

სურათზე დევიდ კორნელსონი გამოსახულია კომედიის თეატრის მსახიობ პამელა მარტინისთან ერთად.




სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია: 380007
ი. მაჩაბლის ქუჩა № 11
ტელეფონები: 93-28-92. 98-13-73. 93-98-75

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით
ქსს გამოთვლით ცენტრში, ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„იბერია" (თბილისი) — „მრეტები" (თბილისი) 1:0 (0:0).**

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 15 აგვისტო.

„იბერია": ჩხეიძე, არზიანი, კუდინოვი, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ინალიშვილი, ცომაია, კაპარავა (ა. არველაძე), ყაველაშვილი (შ. არველაძე), ტყებუჩავა.

„მრეტები": ჯანელიძე, ფორჯიკაშვილი, ხიდამონიძე, პაპიძე, ბ. წიკლაური, ქვარცხავა, ა. წიკლაური (ზირაქიშვილი), ხოხროშვილი, ქინქლაძე, ტყავაძე, ბურცილავა (ჩუხუა).

მსაჯები: მ. მაღლაფერიძე, ლ. მგელაძე (ორივე — თბილისი), მ. კობიაშვილი (დუშეთი).

როგორც ყველა სასტარტო მატჩს, არც ამ შეხვედრას ჩაუვლია ხარვეზების გარეშე, მაგრამ თამაშზე მოსული მაყურებელი დაგვეთანხმება, რომ ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ წარმატების მისაღწევად.

საქართველოს ჩემპიონატების ორგზის გამარჯვებული თბილისის „იბერია" უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტ „მრეტებს" ხვდებოდა. სანამ უშუალოდ შეხვედრაზე მოგითხრობდეთ, გვინდა მკითხველს გავაცნოთ „მრეტების" მოკლე „ბიოგრაფია". როგორც გახსოვთ, რესპუბლიკაში პირველი მინიფეხბურთელთა პროფესიული კლუბი გახლდათ სწორედ „მრეტები", რომელმაც სპორტის სასახლის თაღებქვეშ არაერთი სასიამოვნო წუთები განაცდევინა ამ თამაშის მოყვარულთ. მან სხვადასხვა ტურნირებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ბევრ ბინადარს გადაუწურა გამარჯვების იმედი. შემდეგ „მრეტებმა" დიდ ფეხბურთშიც სცადა ბედი. მეორე ჯგუფიდან კლუბი პირველში გადმოვიდა და არც პირველ ჯგუფში უტკეპნია დიდხანს ადგილი. წლევანდელ საგაზაფხულო გათამაშებაში გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი და გადასასვლელ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა. ნეიტრალურ მინდორზე „მრეტები" უმაღლესი ჯგუფის აუტსაიდერს „ივერიას" შეხვდა. და გაიმარჯვა კიდეც — 3:2. „მრეტებმა" ყველა ამ წარმატებას თავდაუზოგავი შრომით და საქმის დიდი სიყვარულით მიაღწია, რაშიც, პირველ რიგში, „დამნაშავე" კლუბის დამაარსებელი და მთავარი მწვრთნელი ვაჟა ჩხაიძე გახლდათ. მისმა საქმიანობამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია.

ახლა კი უშუალოდ მატჩს დავუბრუნდეთ. „იბერიაში" რომ არაერთი გამოცდილი ოსტატი თამაშობს, ყველას მოგეხსენებათ, ამიტომაც მოწინააღმდეგეს ამ შეხვედრაში, პირველ რიგში, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა და კონტრშეტევებზე აეგო თამაში. ასეც მოხდა: იბერიელთა შეტევებს დებიუტანტი კონტრთამაშით პასუხობდა და მეკარე ჩხეიძეს არაერთხელ მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება. ასეთი სცენარით წარიმართა პირველი ნახევარი და, თუ „მრეტებმა" პირველ ორმოცდახუთ წუთში გოლი არ გაუშვა, მეკარე ჯანელიძის თითქმის უშეცდომო თამაშს უნდა უმადლოდნენ.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე კაპარავას ძლიერად დარტყმული ბურთი აკრობატიულ ნახტომში მოიგერია ჯანელიძემ. ერთადერთი გოლი კი, რომელმაც გამარჯვება „იბერიას" მოუტანა, შეხვედრის 48-ე წუთზე გავიდა: „მრეტების" მცველებმა ვერ შექმნეს ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა. ამით კარგად ისარგებლა ჯიშკარიანმა, რომელმაც ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ ზუსტი გადაცემით მოძებნა კაპარავა და ამ უკანასკნელის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0. არც ამის შემდეგ დამცხრალა ბრძოლა, მაგრამ ორივე გუნდის მოთამაშეთა მცდელობას, შეეცვალათ სხვაობა ანგარიშში, შედეგი არ მოჰყოლია.

ზაზა კასაძე

**„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 0:0.**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 15 აგვისტო.

„მარგვეთი": დევაძე, ლურსმანაშვილი, გურიელიძე, მაჭავარიანი, ლონდაძე, გაბრიჭიძე, ფოცხვერაშვილი, ნახუაშვილი (რომელაშვილი), ჭულელი (კერძევაძე), კიკნაძე, ფაიქიძე.

„მერცხალი": დუმბაძე, ცერცვაძე, როყვა, ხამაშურიძე, ტუღუში, ჩხაიძე, წივწივაძე (ავალიანი), ამაშუკელი, ჩიგოგიძე, ბარამიძე (კაშია), ხალუქვაძე.

მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), თ. კურტანიძე (თბილისი), თ. მაჭარაძე (ხონი).

დუბლიორები 10:4.

მატჩი „მარგვეთის" ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. შეხვედრის პირველ ნახევარში თავის გამოჩენის შესაძლებლობა ჰქონდათ ფაიქიძეს, ჭულელს, ნასუაშვილს, მაჭავარიანს, მაგრამ კარგად თამაშობდა „მერცხალის" გამოცდილი კარის დარაჯი დუმბაძე. „მარგვეთს" აშკარად ეტყობოდა გუნდის ლიდერის ოდისეი ავრამიდისის არყოფნა ავადმყოფობის გამო. მატჩის სამოცდამეათე წუთზე ნასუაშვილმა დაკარგა „მერცხალის" კარის აღების რეალური შანსი — მისი ახლო მანძილიდან თავით დარტყმული ბურთი მოხვდა ზედა ძელს. შემდგომში „მარგვეთი" დიდი ძალებით ამაოდ უტევდა. მატჩის საბოლოო შედეგია ნულოვანი ფრე.

დავით ლამბაშიძე,
„ლელოს" კორ.

**„გორდა" (რუსთავი) — „დილა" (გორი) 1:0 (0:0).**

რუსთავი. „ფოლადის" სტადიონი. 15 აგვისტო.

„გორდა": ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, ლობჟანიძე, ქახრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

„დილა": ჰანტურია, კონდრატიევი, მჭედლიშვილი, დალაქიშვილი, მელქაძე, შავდათუაშვილი (მიქელაძე) მარებაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, ხორგუაშვილი.

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. დარჩია, ჯ. მგელაძე (ორივე — თბილისი).

გააფრთხილეს: ფანცულაია, მჭედლიშვილი.

გააძევეს: მარლიშვილი.

დუბლიორები — 2:2.

**თამაში** კარგა ხანს ისე მიმდინარეობდა, რომ არც ერთ კართან არ შექმნილა საგოლე მომენტი, თუმცა მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა იგრძნობოდა. რეალური საფრთხე თვით მასპინძელთა კართან შეიქმნა პირველი ტაიმის მე-20 წუთზე, როცა მარლიშვილის დარტყმა მოიგერია მეკარე ქორიძემ. ტაიმის დამთავრებამდე „გორდას" შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მიქაშავიძის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ასცდა სტუმართა კარს.

შეხვედრის მეორე ტაიმის დასაწყისში თავი ისახელა „დილას" მეკარე ჰანტურიამ. მან ორჯერ ზედიზედ მოიგერია ფანცულაიასა და ა. კაპანაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთები. 62-ე წუთზე საჯარიმოს მოედანზე ხელით თამაშისათვის „დილას" კარში პენალტი დაინიშნა. ფეხბურთელები მისცვივდნენ მსაჯს, რათა გადაწყვეტილება შეეცვალა. თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა და განახლდა მატჩის ინსპექტორის თეიმურაზ სულაქველიძის უშუალო ჩარევის შემდეგ. ამ მომენტში მოედნიდან გააძევეს მარლიშვილი. ხოლო თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა კილასონიამ — 1:0.

რამდენ გაბრიჭიძე,
„ლელოს" კორ.

**„ალაზანი" (გურჯაანი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1 (2:0).**

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 15 აგვისტო.

„ალაზანი": ჰუნიაშვილი, შუბითიძე, კეკელიშვილი, წიქარიშვილი, ქავთარაძე, ხპანდერაშვილი, ბაწაშვილი, ზაალიშვილი (ძნელაძე), ხოლოდაშვილი (ქოჩლაძე), თეთრაული, კობახიძე.



„ალაზანი" — „სამგურალი"

ვ. ლარიბაშვილის ფოტო.

„სამგურალი": მიქაძე, მუშკუდიანი, გოგოლაძე, ბერიძე, ვ. ფეხტვენიძე, ლ. ფეხტვენიძე, ცნობილაძე, იოსიძე (ხარაბაძე), ჰყონია, ჰუმბურიძე (ჩიხლაძე), იონანიძე.

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ტ. ნიშნიანიძე (ორივე — თბილისი), ა. ჟიჟიაშვილი (მცხეთა).

გააფრთხილეს იონანიძე.

მასპინძლებმა შეხვედრა მწვავე იერიშებით დაიწყეს და „სამგურალის" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ანგარიში მე-20 წუთზე გაიხსნა, როდესაც მარჯვენა ფრთიდან ზაალიშვილის ჩაწოდებულ ბურთს ადგილზე დახვდა თეთრაული და წინ გაიყვანა „ალაზანი" — 1:0. გაშვებული ბურთის შემდეგ გააქტიურდნენ სტუმრები და რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ სერიოზული ხიფათი გურჯაანელთა კართან არ შექმნილა. მეორე გოლი ამ მატჩში სპანდერაშვილმა გაიტანა. მან ძელიდან ასხლეტილ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი და ანგარიში ორამდე გაიზარდა.

მეორე ტაიმში გურჯაანელთა გუნდს ვეღარ ვცნობდით. ისინი მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ, რითაც ისარგებლეს „სამგურალის" ფეხბურთელებმა და იონანიძემ შეამცირა სხვაობა ანგარიშში. 2:1 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ვალერი ლარიბაშვილი,
„ლელოს" კორ.

**„ბათუმი" (ბათუმი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 1:1 (0:0).**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 15 აგვისტო.

„ბათუმი": ბალაძე, გოგიტიძე, კობალაძე, დურდიაძე, კანტიძე, შანიძე, მაჭუტაძე, ღლონტი, ხომერიკი, ტუღუში, უჯმაჯურიძე (მუჯირი).

„შევარდენი": დოლიძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, ნადარეიშვილი, კოპალეიშვილი, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ზეიკიძე (ბახტაძე), ქობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: გ. კალანდია (ზუგდიდი), ლ. რაზმაძე (გორი), დ. გვაზავა (აბაშა).

გააფრთხილეს: კ. კოპალეიშვილი.

ბათუმელები მესამე ეროვნულ ჩემპიონატს შესუსტებული შემადგენლობით შეხვდნენ. სხვადასხვა მიზეზით გუნდი დატოვეს ნასუაშვილმა, კიკლიაშვილმა, მჭედლიშვილმა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, დარჩება თუ არა გუნდში ნინიადისი (ფეხბურთის მოყვარულები მას კიურჯიევის გვარით იცნობდნენ). ამას გარდა დისკვალიფიცირებულნი არიან ზედანია და მალხაზ მახარაძე. ასე რომ, ბათუმელთა გუნდი პრობლემების წინაშე დგას, თბილისელებს კი, როგორც თამაშმა გვიჩვენა, ფრეც აძლევდათ ხელს. ბათუმელთა რთული მდგომარეობის მიუხედავად, ტერიტორიულ უპირატესობას მაინც ისინი ფლობდნენ. პირველ ტაიმში მაჭუტაძეს და ტუღუშს სულ ცოტა სამჯერ შეეძლოთ სტუმართა კარის აღება, მაგრამ მეკარე დოლიძე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მეორე ტაიმში მსაჯმა კალანდიამ ორი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა თბილისელების კარში. პირველად უჯმაჯურიძემ დაარტყა და კვლავ დოლიძემ გამოიჩინა თავი. მეორედ კი დურდიაძის დარტყმამ მიზანს მიაღწია, ეს მოხდა 65-ე წუთზე.

ბათუმელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ რაღაც ექვსიოდე წუთის შემდეგ შალამბერიძემ შესანიშნავი შორეული დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. თამაშში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა და გუნდები ფრეს დასჯერდნენ.

სეოკ-ის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო — მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებისათვის, გადაეცათ დურდიაძეს და დოლიძეს. სხვათა შორის, იმავე დღეს დურდიაძეს მაყურებელმა და მეგობრებმა ქალიშვილის დაბადება მიულოცეს.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს" კორ.

**„გურია" (ლანჩხუთი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 5:1 (2:0).**

ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 15 აგვისტო.

„გურია": ქანთარია, ჩხაიძე, გუჯაბიძე, ნემსაძე, კაბისაშვილი, გოგიჩაიშვილი, მიქაბერიძე, თევზაძე (კვინტრაძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

„ამირანი": ბაბუაძე, აზვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, ჩხვირკია, აფენდოპულო, ლურწკაია, გოგიტაძე (გუჩუა), ქობალია, გაბისონია, ტრუვალიოვი.

მსაჯები: ვ. ხეჩოიანი (თბილისი), დ. მენთეშაშვილი (გურჯაანი), ვ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

დუბლიორები — 5:0.

მესამე ეროვნულ ჩემპიონატს „გურია" განახლებული შემადგენლობით შეხვდა. გუნდიდან თამაშის ლო ბირთვი რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა, [illegible] „კოლხეთიდან" ლანჩხუთელებმა კარგი შევსება მიიღეს გამოცდილი ფეხბურთელებით: ნემსაძე და გოგიჩაიშვილი.

პირველივე წუთებიდან ორივე გუნდის მცველებმა პერსონალური მეურვეობა დაუწესეს თავდამსხმელებს. მასპინძლებმა უფრო სწრაფად აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და პრესინგს მიმართეს, რამაც სტუმრებს თავისუფლად მოქმედების საშუალება მოუსპო. ასეთმა ტაქტიკამ ნაყოფი მალე გამოიღო. ნამდვილი საგოლე მომენტი კი 30-ე წუთზე შეიქმნა. ფრიდონაშვილმა სტუმართა საჯარიმოში მიიღო პარტნიორის გადაცემა და ახლო მანძილიდან იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა. „გურიამ" მეტი ძალით შეუტია მეტოქეს. 43-ე წუთზე სტუმრებმა საჯარიმოში უხეშად მოცელეს უგრელიძე. 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა კორღალიძემ — 2:0.

მეორე ტაიმში „ამირანის" შუა და უკანა ხაზებს დიდი ჯაფა დაადგა „გურიის" მასირებული შეტევების მოსაგერიებლად. თავის მხრივ სტუმრები ცდილობდნენ თავიანთი თავდამსხმელები მასპინძელთა საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაში გაეყვანათ, მაგრამ მათი გადაცემები უზუსტო იყო. 65-ე წუთზე კორღალიძემ მოატყუა ორი მცველი და გადააწოდა ბურთი ფრიდონაშვილს, რომელმაც მესამედ აიღო „ამირანის" კარი. ოთხი წუთის შემდეგ მიქაბერიძის შორეულმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 4:0. მატჩის მიწურულს მეხუთე ბურთის „ავტორი" კვლავ ფრიდონაშვილი გახლდათ, რომელმაც „ჰეთ-თრიკი" შეასრულა. ბოლო წუთზე გაბისონიამ შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა — 5:1.

გოჩა ვასაძე,
„ლელოს" კორ.

**„ოდიში" (ზუგდიდი) — „მზიური" (გალი) 0:1 (0:0).**

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 15 აგვისტო.

„ოდიში": ჰანტურია, კვიტატიანი, ბერიაშვილი, თუთბერიძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია, მალანია (ჯანაშია), შეროზია, ბიგვავა, ყიზილაშვილი, კირსენკო (ჯიქია).

„მზიური": მაკასარაშვილი, ლურწკაია, კვეკვესკირი, ჩაიკა, ხურცილავა, მეტრეველი, ჯღარკავა (ნ. კაკუბავა), დ. კაკუბავა, ჩხეტია (კაკავა), ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: ნ. კილაძე, რ. ვერულაშვილი (ორივე — თბილისი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

გააფრთხილეს: თ. ლურწკაია, ვ. ჩაიკა.

დუბლიორები — 2:1.

**ზუგდიდის** სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო მატჩი სამტრედიაში გაიმართა. პირველ ნახევარში ზუგდიდელებს კარის აღების რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა ჰქონდათ, კერძოდ, მეთოთხმეტე წუთზე კირსენკო აღმოჩნდა კარის წინ, მაგრამ მისმა დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია. მეოცე წუთზე მეკარე მაკასარაშვილმა მოიგერია შეროზიას ძლიერი დარტყმა. ერთი წუთის შემდეგ სტუმრებს მიეცათ კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულ ხარჩილავას დაასწრო ჰანტურიამ.

ამ მატჩში ერთადერთი ბურთი 55-ე წუთზე გავიდა: მეტრეველმა მარჯვენა ფლანგზე მიიღო ზუსტი გადაცემა მოედნის შუაგულიდან, წინ წაიწია და ზუსტი პასი მიაწოდა ჩხეტიას, რომელმაც შეძლო ჰანტურიას კარის აღება — 0:1.

ზუგდიდელებმა მატჩი სუსტად ჩაატარეს. გამონაკლისს წარმოადგენდა ჰანტურიას, კირსენკოს და ყიზილაშვილის თამაში. გუნდის ხელმძღვანელობას, ალბათ, სტარტზევე მართებს დაფიქრება, რათა ახლა დაკარგულმა ქულებმა შემდეგ არ იჩინოს თავი.

რომან გაბისონია,
„ლელოს" კორ.

პირველი ტურის მატჩი ფოთის „კოლხეთი-1918"-სა და ვანის „ხულორს" შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

საქართველოს მესამე ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში (უმაღლესი ჯგუფი) მონაწილეობენ დუბლიორებიც, რომლებმაც უკვე გამართეს პირველი მატჩები.



„იბერია" — „მრეტები".

ა. კოპლამაზაშვილის ფოტო.

# ტიპიური ევროპელი ქართული ხასიათით

**მაღალ,** ქერათმიან, ცისფერთვალება ახალგაზრდას ფეხები მოუკეცია და ისე ზის ტრიბუნაზე. თუ მის ცისფერ თვალებს, ქცევას მეტად თავისუფალ მანერასაც დავამატებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს ჭაბუკი ტიპიური ევროპელია. აი, სპორტთან რომ „მჭიდრო კავშირი“ უნდა ჰქონდეს, ამას კი მისი განიერი ბეჭები და დაკუნთული სხეული მოწმობს. თუმცა, კავშირი კი არა...

ანდრეა ალესი წარმოშობით სკანდინაველია. ამჟამად იტალიაში ცხოვრობს მისი ოჯახი და იგიც, ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ღირსებას იცავს. ანდრეა წყალმოთხილამურეთა ევროპის ყოფილი ჩემპიონია და ამჟამინდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი. ჩემპიონობა მან 3 წლის წინ მოიპოვა ტრამპლინიდან ხტომაში.

**● ანდრეა, რა ამოცანა გაქვთ დასახული?..**

— ჩემპიონატის დაწყებამდე ფეხი მოვიტეხე, მთელი თვე არ მივარჯიშია და მხოლოდ ბოლო დღეებში დავიწყე სრული დატვირთვით ვარჯიში. ასე რომ, ვერაფერს გეტყვით. აი, ჩვეულ ფორმაში რომ ვიყო, მაშინ ალბათ ჩემპიონობასაც არავის დავუთმობდი.

**● თქვენი მრავალწლიანი გამოცდილებით ვერ გაზვალთ ფონს?**

— ფოთში ისეთი ძლიერი გუნდები და სპორტსმენები ჩამოვიდნენ, რომ აქ მარტო გამოცდილების იმედად ყოფნა, უბრალოდ, უაზრობაა. გამორიცხული არ არის წარმატებასაც მივაღწიო, მით უმეტეს, თუ შევძელი ბოლო დღეებში ფორმაში შესვლა.

**● ძლიერ გუნდებსა და სპორტსმენებში ვის გულისხმობთ?**

— უპირველესად ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებს. მათი ვაჟები ხომ უძლიერესნი არიან მსოფლიოში. საკმაოდ ძლიერი გუნდი ჩამოიყვანეს რუსებმაც, არც შვეიცარიელები არიან სუსტები. სპორტსმენთაგან, როგორც ვვარაუდობ, ძირითადი კონკურენტები შვეიცარიელი ბეტოზინი და ფრანგი ემერიკ ბენეტი იქნებიან. ნუ მიწყენთ, რომ თქვენს გუნდსა და სპორტსმენებს არ ვასახელებ, არ მიყვარს პირფერობა. ისე, თუ ამგვარი მონდომება შემდგომშიც გაგყვათ, ეჭვი არ მეპარება, მალე დიდ წარმატებებსაც მიაღწევენ თქვენი წყალმოთხილამურეები.

**● თქვენს გუნდზე რას იტყვით?**

— არა უშავს რა, კარგი გუნდი ჩამოვიყვანეთ. არ გამიკვირდება, თუ ფიგურულ სრიალში ემერიკ ბენეტს კონკურენციას ჩემი თანამემამულე ბუძოტა გაუწევს.

**● ფოთის ჩემპიონატის შემდეგ, ალბათ, უამრავ ტურნირში იასპარეზებთ?**



ანდრეა ალესი

— არ ვიცი, ენახოთ. ოქტომბერში ავსტრიაში გამოვალ მსოფლიო ჩემპიონატზე. არ მიყვარს წინასწარ რამის დაგეგმვა.

**● ანდრეა, ქართველი წყალმოთხილამურეები უკონკურსოდ ასპარეზობენ ჩემპიონატზე. იცით ალბათ, რატომ მოხდა ეს?**

— ვიცი, რომ წყალმოთხილამურეთა საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა არ დაუშვეს თქვენი გუნდი ჩემპიონატზე სრულუფლებიანი მონაწილის სტატუსით. როგორ შეიძლება მასპინძელ ქვეყანას ასე მოექცე? თუმცა, ალბათ, [illegible] ფედერაციამაც არ შეცვალა თავისი კონსერვატორული გადაწყვეტილება. მე, ასე თუ ისე, ვიცნობ საქართველოს და მჯერა, თქვენს ქვეყანაში ყველაფერი რიგზე იქნება, არც ევროპისკენ გაგიჭირდებათ გზის „გაკვლევა“, მინდა რომ ასეთი გულდაწყვეტილები აღარ გნახოთ.

**● დიდი მადლობა, ანდრეა! ის თუ იცით, ქართველებსა და იტალიელებს რაღაცით ერთმანეთს რომ ამსგავსებენ?**

— სხვათა შორის, მე არა ვარ ნაღდი იტალიელი, მაგრამ მგონი რაღაცით ვგავარ ქართველებს. აი, მაგალითად, თქვენსავით ვერ ვიტან გაუტანელ, ფლიდ ადამიანებს. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და მეც გამახვილებული მაქვს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მიყვარს ღვინო და შამფურზე წამოცმული შემწვარი ხორცი. დიდ პატივს ვცემ ტრადიციებს, განსაკუთრებით ოჯახურს და, საერთოდ, ოჯახი მიმაჩნია ადამიანის, განსაკუთრებით მამაკაცის შეფასების უმთავრეს კრიტერიუმად.

**● ანდრეა, ის კაცი ვინ არის, ხელს რომ გიქნევთ?**

— ჩემი მწვრთნელია. ეტყობა ჩემი ჯერი დადგა, ტრასაზე უნდა გავიდე. მაპატიეთ, საუბარი შემდეგ გავაგრძელოთ.

ტრიბუნიდან ტრასამდე საკმაოდ დიდი მანძილია. თითქმის შეუძლებელია საათში 58 კილომეტრის სიჩქარით მქროლავ წყალმოთხილამურეში ნაცნობი კაცი ამოიცნო, მით უმეტეს, თუ თავზე ჩაფხუტი ახურავს.

კატარღი მოახლოვდა. ბაგირზე ხელებჩაჭიდებული სპორტსმენი ოსტატურად უვლის გვერდს ყვითელ ტივტივებს. საკმაოდ დიდი მანძილია ტრიბუნებიდან ტრასამდე. აკი მოგახსენეთ, მაგრამ მე მაინც ვიცანი თხილამურებზე შემდგარი ათლეტი — ეს ანდრეა ალესია, მაღალი, ქერა, ცისფერთვალება — ტიპიური ევროპელი, რომელიც რატომღაც ასე ჩამოგვგავს ჩვენ ხასიათით.

# რატომ შეშინია ხათუნა კორკელიას ბრიტა გრაბესი?

(დასასრული)

**● როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს ტრამპლინიდან ხტომაში?**

— რა თქმა უნდა, ბრიტა გრაბე!

**● სლალომსა და ფიგურულ სრიალში?**

— ო, აქ უკვე არა მაქვს დიდი პრეტენზიები, მაგრამ ვეცდები სამეულში მაინც მოვხვდე.

**● ხათუნა კორკელიას სხვა დროს თუ შეხვედრიხართ ასპარეზზე?**

— არა, დღეს პირველად ვასპარეზობთ ერთ ტურნირში. ისე, ხათუნას გამოსვლა ნანახი მაქვს.

**● როცა სპორტს თავს დაანებებთ, რას აპირებთ?**



ბრიტა გრაბე

— ალბათ მწვრთნელად ან მსაჯად დავიწყებ მუშაობას. მე ხომ წყალსათხილამურო სპორტის სპეციალისტის დიპლომი მაქვს.

**● ბრიტა, გულახდილად მითხარით, მოგწონთ აქაურობა?**

— ყველაფერი მშვენიერია. მით უმეტეს ბაზა და... ხალხი.

მე მესმის თქვენი: ვიცი, რომ გიჭირთ რაღაც-რაღაცეები. ასეთ პირობებში, მართლაც, მაქსიმუმი შესძელით. ხუმრობა ხომ არ არის, ისეთი პატარა ქალაქი, როგორიც ფოთია, ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. სხვათა შორის, ღირსეულად.

**● მგონი დაგღალეთ...**

— არა, მე მიყვარს ჟურნალისტებთან საუბარი.



ხათუნა კორკელია

**● მაინც სჯობს დანარჩენი სხვა დროისთვის გადავდოთ...**

— მაინც როდის?

**● როცა ჩემპიონი გახდებით.**

— ღმერთმა გისმინოთ, გმადლობთ კეთილი სურვილისთვის.

**● შეხვედრამდე, ბრიტა!**

ბრიტა გრაბემ ღიმილით ჩამოგვართვა ხელი, მაპატიეთო ინგლისურად მოგვმართა და გასახდელში შევიდა...

ხათუნა კორკელიას საუკეთესო სამეულში მოხვედრა, გვერწმუნეთ, ჩვენი ოცნებაა, მაგრამ ორმაგად გაგვიხარდება თუ მის გვერდით ბრიტა გრაბესაც ვიხილავთ.

თუმცა, უკაცრავად. ბრიტამ ხომ ჩვენზე ადრე გადაჭრა ეს პრობლემა — ჩემპიონობას აპირებს.

## ფინიშ...

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ შესარჩევი შეჯიბრებები სლალომში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, საღამოს კი ვაჟებმა ფიგურულ სრიალში იასპარეზეს.

ქალთა სლალომში ხათუნა კორკელიამ მე-9 შედეგი აჩვენა და რვა უძლიერესში ვერ მოხვდა. თუმცა, როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, ელიტასთან ასე მიახლოვება თავისთავად ურიგო შედეგი არ გახლავთ. ამ სახეობაში საფინალო ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ინგლისელი ფილიპა რობერტსი.



ვაჟთა სლალომში საქართველოს ნაკრების სამი წარმომადგენელი გამოდიოდა. ჩვენმა ლიდერმა გენადი გურალიამ წინასწარი მონაცემებით 22-ე-28-ე შედეგი აჩვენა, ფინალში კი მხოლოდ თხუთმეტი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე სპორტსმენები გადიოდნენ. რაც შეეხება რევაზ პიხვარიასა და გიორგი ხურგულაძეს, ისინი ამ ჩემპიონატში უფრო გამოცდილების შესაძენად მონაწილეობენ.

საღამოს გენადი გურალიამ ფიგურულ სრიალში იასპარეზა. მან პირველი ცდა ნაღალი შედეგით დაასრულა, მაგრამ მეორე ცდაში შეცდომა დაუშვა — სტარტზევე დაეცა და ფინალში გასვლის შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

როცა ამ სტრიქონებს გადმოვცემთ, შეჯიბრება გრძელდება და მათი ვინაობა, ვინც შაბათს, ფინალში ჩემპიონობისათვის იბრძოლებენ, ჯერ გაურკვეველია.

დღეს, 17 აგვისტოს, გაიმართება, აგრეთვე, ვაჟთა წინასწარი შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში, სადაც გურალიაც გამოვა და მოეწყობა ქალთა ფინალური ასპარეზობა სლალომში. დანარჩენი ფინალური შეჯიბრებები კვირას ჩატარდება და ჩემპიონატიც ამით დამთავრდება.

რედაქტორი
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ




ვახტანგ კუციას ნახატები



Ბ. ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

**20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

(უმაღლესი ჯგუფი)

**„ᲘᲑᲔᲠᲘᲐ“ (თბილისი) — „ᲒᲣᲠᲘᲐ“ (ლანჩხუთი)**

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 19 და 20 აგვისტოს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე). აქვე გაიყიდება „სპრინ ტის“ ბილეთები.

II ჩემპიონატზე გაცემული საშვები ძალაშია III ჩემპიონატის მატჩებზე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. გელაშვილი, კორექტორი მ. ძიძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-53
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მორთვე“ — 99-97-27

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.